

მოკლე აღწერა: აუგსბურგის უნივერსიტეტში, შვიდი ერთმანეთისგან განსხვავებული ფაკულტეტია. ამ ისტორიაში, თავად ფაკულტეტებისგან მოისმენთ, თუ რას წარმოადგენენ ისინი და რა ისწავლება თითოეულ ფაკულტეტზე. ხანდახან ეს დისკუსიების საგანიც კი ხდება.

ავტორი: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება აუგსბურგის უნივერსიტეტში. როგორც უკვე იცით, აქ მთლიანობაში შვიდი ფაკულტეტია. გსურთ იცოდეთ თითოეულის შესახებ? მაშინ მოვუსმინოთ!

ფილოსოფიურ–სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

– გამარჯობა! მე ფილოსოფიურ–სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ვარ. ძირითადად შემოკლებით, „ფილ–სოც–ს“ მეძახიან. ჩემი სახლი, შენობა „დ“ – ში მდებარეობს. ტრამვაის გაჩერებიდან ეზოს რომ გამოუყვებით, მეორე შენობაა მარჯვენა მხარეს. ამბობენ კაცმა თავის თავი არ უნდა აქოსო, მაგრამ მე ნამდვილი მულტიტალანტი ვარ. მე ვარ სპორტული, მუსიკალური და ვერკვევი სხვადასხვა თემებში, მაგ: ფილოსოფია, პოლიტ–მეცნიერება, სოციალური მეცნიერება, პედაგოგიკა და მედია. თუკი თქვენ გსურთ, ამ თემებთან დაკავშირებით ბევრი იცოდეთ, მაშინ მე მომაკითხეთ. ასევე, თუ „დიგიკამპუსის“ * ვებ–გვერდზე, თქვენი ლექციებისა და სემინარებისთვის დარეგისტრირება გსურთ, აქაც ჩემი ხელი ურევია. რადგან, „დიგიკამპუსისთვის“ არის „მედიისა და განათლების ტექნოლოგიების ინსტიტუტი“ თავისი მედიალაბორატორიით კომპეტენტური. ეს ყველაფერი, ჩემს დაქვემდებარებაშია. ახლა, თქვენ იკვირავთ, ასეთი გონებრივი სამუშაოებით დატვირთული, მუსიკალური და სპორტული როგორღა ვარ? ძალიან მარტივია: სპორტის ინსტიტუტი და „ლეოპოლდ მოცარტის ცენტრიც“ რომელიც მუსიკას ემსახურება, ასევე მე მექვემდებარება.

ფილოლოგიურ–ისტორიული ფაკულტეტი:

– ბატონო მეზობელო! ნამდვილად ბევრი რამის შემოთავაზება შეგიძლია, მაგრამ ბევრი რამ – არა და არც იცი.

ფილოსოფიურ–სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

– ჩემო კარგო! ყოვლისშემძლე არავინაა! ... ძვირფასო მსმენელებო! ალბათ უკვე შეამჩნიეთ, რომ ჩემი მეზობელის სახელიც „ფილ“ მარცვალზე იწყება, მაგრამ ეს ნიშნავს ჩემ შემთხვევაში – ფილოსოფიურს, ხოლო მის შემთხვევაში – ფილოლოგიურს. ანუ ფილოლოგიურ–ისტორიული.

ფილოლოგიურ–ისტორიული ფაკულტეტი:

– ოლა! ჰალო! სალუ! სერვუს!...მე გახლავართ „ფილოლოგიურ–ისტორიული ფაკულტეტი“. ჩემს კათედრას და სხვა ღონისძიებებს, შენობა „დ“–ში, „ფილოსოფიურ–სოციალურ –მეცნიერებათა ფაკულტეტთან“ ანუ ძველ კაფეტერიასთან იპოვით. მე, შეგიძლიათ მაშინ მომმართოდ, თუ უცხო ენა და ლიტერატურა გაინტერესებთ, ისტორია ან ევროპული ეთნოლოგია. ამ განხრით, მაქვს როგორც ბაკალავრიატი, ასევე „სწავლება მომავალში მასწავლებლის სტატუსის მოპოვების მსურველთათვის“ *აქვე მსურს განსაკუთრებულ ავლნიშნო, ელიტარული მასტერ–სწავლება „ტექსტის კულტურის ეთიკაში“, რომელსაც ნიურბერგ–ერლანგენის უნივერსიტეტთან ერთად ვახორციელებთ. ლექციებისა და სემინარების გარდა, ვატარებთ ასევე ბევრ საიტინერესო ღონისძიებებს, მაგ: მოხსენებების სერია ლიტერატურულ ტომეულებზე. თუ, ჩემთან სწავლას გადაწყვეტთ?, მაშინ ის შანსიც შეგიძლია გამოიყენოთ, საზღვარგარეთ ერთი ან ორი სემესტრით სასწავლებლად რომ წახვიდეთ. ეს მხოლოდ საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ თქვენი ცოდნა გააუმჯობესოდ, უცხო ქვეყანა და საზოგადოება გაიცნოთ.

ინფორმაცია:

– კი კი ქალბატონო კოლეგა! ხოდა, როცა თქვენი სტუდენტები თქვენთან მთელი განცდილი თავგადასავლების შესახებ ინტერნეტ გლობით მოყოლას ისურვებენ და კომპიუტერი არ ეცოდინებათ? მერე მომადგებიან მე.

ფილოლოგიურ–ისტორიული ფაკულტეტი:

– ბატონო კოლეგა! თქვენსავით ვერავინ ერკვევა კომპიუტერში!

ინფორმაცია:

– დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის! უი! სულ დამავიწყდა გაგეცნოთ!
– მოგესალმებით! მე გამოყენებითი ინფორმატიკის ფაკულტეტი ვარ. მე მეკუთვნის ორი ინსტიტუტი: ინფორმატიკის ინსტიტუტი, რომელიც ახალი დაარსებულია და შენობა „ლ“ – ში მდებარეობს, ეს არის ყველაზე დიდი ნაცრისფერ–მომწვანო შენობა, სასადილოს შენობის უკან, და გეოგრაფიის ინსტიტუტი, რომელიც „ფილოსოფიურ–სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან“ შენობა „დ“ –ში მდებარეობს. გეოგრაფიის სფეროში, ვთავაზობ: ბაკალავრს, მასტერს და

გეოგრაფიის სწავლებას მომავალში მასწავლებლის სტატუსის მოპოვების მსურველთათვის. როცა, აგერ ძვირფასმა ფილოლოგიურ–ისტორიული ფაკულტეტმა ჩემი საუკეთესო ინფორმატიკული ცოდნა ახსენა, ნამდვილად ინფორმატიკის სფეროს მასწავლება იგულისხმა, რომელიც გერმანიაში ერთ–ერთი საუკეთესოა. ეს ცოტა ხნის წინ ოლიმპიადაზეც დამტკიცდა.

იურიდიული ფაკულტეტი:

- და ვინც კომპიუტერში კარგად ერკვევა არ უნდა მიაქციოს კანონებს ყურადღება თუ?

ინფორმატიკა:

- ამ შეხედულებას უნდა შევეწინააღმდეგო! ხედავთ? ეს დანასავითაა: შეგიძლია საჭმელი მოამზადო, მაგრამ ასევე შეიძლება ვიღაცაც დააზიანო. ჩვენი კომპიუტერის ცოდნით, გვსურს ტექნოლოგიურ წინსვლაში წვლილი შევიტანოთ, მაგრამ თქვენ, მაშინ ხართ საჭირო, როცა ვინმე თავის ინფორმატიკულ ცოდნას არასასიკეთოდ გამოიყენებს და ვიღაცას დააზარალებს.

იურიდიული ფაკულტეტი:

- მაგაში დაგეთანხმებით... სხვათაშორის, მე იურიდიული ფაკულტეტი ვარ! ჩემს მოსამებნად: უნივერსიტეტის ეზოს ხიდზე უნდა გადმოიაროთ, ამოუყვეთ კიბეებს, რამოდენიმე მეტრით კიდევ პირდაპირ უნდა გააგრძელოთ გზა და მოედანთან, ფიგურებიც რომ დგას, მარჯვნივ აღმოაჩენთ ჩემს სახლს. ეს არის შენობა „3“. შეგიძლიათ მე მაშინ მომმართოდ, თუ: საჯარიმო, სამხედრო ან გარემოს დაცვის უფლებებთან დაკავშირებით რაიმე გაინტერესებთ და ზოგადად, სამართალმცოდნეობასთან დაკავშირებით. ჩემი დამამთავრებელი საფეხური არა ბაკალავრის ან მაგისტრის დიპლომაა, არამედ უმაღლესი სახელმწიფო გამოცდაა. სხვათაშორის, აქ გორაკზე, მარტო არ ვცხოვრობ. აქვე ჩემს გვერდით „ეკონომიკურ–მეცნიერებათა“ ფაკულტეტი ბინადრობს... ქალბატონო! ხომ არ წარმოგვიდგენდით თავს?

„ეკონომიკურ–მეცნიერებათა“ ფაკულტეტი:

- გამარჯობა! მე ვარ ეკონომიკურ–მეცნიერებათა ფაკულტეტი. გერმანული აბრევიატურით „ვივი“*. როგორც ჩემმა კოლეგამ უკვე ახსენა, მეც ეზოს გორაკზე ვმდებარეობ ოღონდ ფიგურების მარცხნივ, შენობა „ლ“ – ში. შენობა „კ“ – ში კი,

აქვე გვერდით, ჩემი აუდიტორიების ცენტრია მოთავსებული. ჩემი ყველაზე დიდი აუდიტორია, რომელიც მთელს უნივერსიტეტშიც ასევე ყველაზე დიდია, მდებარეობს „სიგმა-ტექ-პაკრთან“. ეს არის დაახლოებით უნივერსიტეტიდან ფეხით, 15 წუთის სავალზე. ე.წ „ბუკოვინა ინსტიტუტთან“. ჩემი ყველაზე დიდი სფეროებია: „მეწარმეთა ეკონომიკის სწავლება“ * და სახალხო ეკონომიკის სწავლება” *. განსაკუთრებულია ჩემი სპეციალობა: „ფინანსები და საინფორმაციო მენეჯმენტი“, რომელიც ბაიერნის ელიტარული სწავლების ქსელში შედის და ბევრი, კარგი რეპუტაციის მქონე ფტრმა უდგას მხარში. აქ, უნივერსიტეტში არის ასევე სპეციალობა: „ ეკონომიკის მათემატიკა“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ეკონომიკას გულისხმობს, არა ჩემი დაქვემდებარების ქვეშ არის...

მათემატიკა–ბუნებათმცოდნეობის ფაკულტეტი:

- არამედ ჩემი! ... გამარჯობათ! მე მათემატიკა–ბუნებათმცოდნეობის ფაკულტეტი ვარ. მათემატიკის ინსტიტუტს, უნივერსიტეტის ტბასთან ნახავთ, შენობა „ლ“ – ში, ხოლო ფიზიკის ინსტიტუტს – შენობა „რ “ – სა და „ ს “ – ში, რომელსაც უკეთესად მიაგნებთ, თუკი არა უნივერსიტეტის გაჩერებასთან, არამედ ერთი გაჩერებით იქით ჩთმობვალთ. გაჩერებას ეწოდება: „პროფესიული განათლების საწარმო“/ „ფიზიკის ინსტიტუტი” *.მე ვასწავლი მათემატიკას და ასევე ვთავაზობ ბაკალავრიატსა და მაგისტრატურას: მათემატიკის, ფიზიკისა და მატერიალურ მეცნიერებებში. განსაკუთრებით ვამაყობ - „ მასტერ–ელიტარული სწავლებით” განვითარებულ მატერიალურ მეცნიერებებში, რომელსაც მიუნხენის უნივერსიტეტთან ერთად ვახორციელებთ. ჩვენ უკვე არაერთი წარმატება ვიზიემეთ, კვლევის განვითარების სფეროში, მყარი ფიზიკის სშეროსა და ნანოტექნოლოგიებში. იმისათვის, რომ ეს პროცესი გაგრძელდეს და განვითარდეს, ვთანამშრომლობთ სხვა უნივერსიტეტებთანაც.

კათოლიკურ–თეოლოგიური ფაკულტეტი:

- მაგრამ ძალიან გთხოვთ! მთელ ამ ანგარიშებსა და დამტკიცებებში ნუ დაგავიწყდებათ, რა დიდებულია ღმერთის ქმნილება.

მათემატიკა–ბუნებათმცოდნეობის ფაკულტეტი:

- ნუ დარდობ... ჩვენ მხოლოდ გვსურს და შეგვიძლია, რომ ურთიერთკავშირები ბუნებაში ვიპოვოთ, მაგრამ რა თქმა უნდა ვერასოდეს შევიტყობთ: რატომ არის ეს კავშირები? რატომ არსებობს სამყარო და რატომ აღმოცენდნენ დედამიწა და ადამიანები. ამ აუხსნელ საფუძვლებს, მეშიძლიათ თქვენ ღმერთი უწოდოთ. ეს ისე თქვენს სფეროა არა? წარმოგვიდგინეთ თქვენი თავი თუ წეიდლება!

კათოლიკურ–თეოლოგიური ფაკულტეტი:

- გმერთმა გაგიმარჯოთ! მე კათოლიკურ–თეოლოგიური ფაკულტეტი გახლავართ შენობა „დ“–ს მე–4 სართულიდან. მე ყველაზე პატარა ფაკულტეტი ვარ მთელ ფაკულტეტებში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩემი სპეციალობების სპექტრი მცირეა. როგორც ჩემი სახელი გეუბნებათ, მე მომავალ სასულიერო პირებსა და რელიგიის პედაგოგებს ვასწავლი. ჩემთან სწავლებით არა მხოლოდ დიპლომი ან მომავალში მასწავლებლის სტატუსი მიიღო, არამედ მასტერის ხარისხიც შეგიძლია დაიცვა. განსაკუთრებული სიამაყიდ მსურს ვახსენო მასტერის სწავლება, რომელსაც „გარემოს დაცვის ეთიკაში“ ვთავაზობთ. ჩემთან გელოდებით სემინარები, რომლებიც ბევრ სხვადასხვა თემებს მოიცავენ: ტაძრის ისტორია, ეკლესიის უფლებები, მორალის თეოლოგია და ქრისტიანობის სოციალური ეთიკა. ამ სიტყვებით – მორალი და ეთიკა, ნახავთ, რომ ჩვენ ძირითადად ადამიანური ურთიერთობებით ვართ დასაქმებული.

ავტორი: ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თითოეული ფაკულტეტი, მთლიანობაში ყველაფერს გვთავაზობს, მაგრამ თუ კიდევ მეტი გსურთ შეიტყოთ, მაშინ მოინახულეთ ვებ–გვერდი: www.uni-augsburg.de!

შენიშვნა:

* **დიგიკამპუსი (www.digicampus.de)** - ეს არის უნივერსიტეტის ონლაინ–პორტალი, სადაც სტუდენტები ეწერებიან ლექციებზე დამსწრეთა სიებში, ადგენენ სეკუთარ დღის განრიგს. ასევე რეგისტრირდებიან სხვადასხვა კურსებისათვის და ა.შ.

* **სწავლება მომავალში მასწავლებლის სტატუსის მოპოვების მსურველთათვის** - გერმანიაში მასწავლებლის სტატუსი ითვლება სახელმწიფო მოხელის სტატუსად და მათ ვისაც შემდგომში სკოლის სისტემაში კონკრეტული საგნის პედაგოგად მუშაობა სურს, არსებობს სპეციალური კათედრა უნივერსიტეტებში სახელწოდებით - Lehramt

* **ვივი** – აბრევიატურა მომდინარეობს ფაკულტეტის სახელიდან –

Wirtschaftswissenschaftlich (Wiwi)

* **მეწარმეთა ეკონომიკის სწავლება** – ფაკულტეტის სახელწოდების გავრცელებულია აბრევიატურით BWL– ვრცელი სახელწოდება - Betriebswirtschaftslehre.

* **სახალხო ეკონომიკის სწავლება** - ფაკულტეტის სახელწოდების გავრცელებულია აბრევიატურით VWL– ვრცელი სახელწოდება - Volkswirtschaftslehre.

* **პროფესიული განათლების საწარმო/ ფიზიკის ინსტიტუტი** - გაჩერების სახელწოდების პირველი ნმწილი, კერძოდ: პროფესიული განათლების საწარმო, წარმოითქმება შემოკლებით, აბრევიატურით- BBW, გერმანული სახელწოდების (Berufsbildungswerk).

ავტორები: ანა–მარია გორალევისცი, ბარტოსტ ბურსკი და ტომას შვალბე

Übersetzt von
Natia Tsikelashvili